

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №——

———— 2017 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის

შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 88-ე მუხლის შესაბამისად:

**მუხლი 1.** დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში წარმოდგენილი დანართის შესაბამისად.

/დანართი წინამდებარე განკარგულებას

თან ერთვის/

**მუხლი 2.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრაძის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 3.** განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

შოთა მურღულია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

2017 წლის ----- N-----

განკარგულების დანართი

### ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის

#### ბიუჯეტის შესრულების ანგარიში

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 2015 წლის 18 დეკემბერს ქალაქ ქუთაისის საკრებულოს N114 დადგენილებით 50597,5 ათასი ლარის ოდენობით. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ბიუჯეტში შევიდა 8 ცვლილება და წლის ბოლოს 72520,3 ათასი ლარი შეადგინა.

2016 წელს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტისათვის შემდეგი პრიორიტეტები განისაზღვრა:

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება;

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია;

ეკონომიკა;

გარემოს დაცვა;

განათლება;

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები;

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.


ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსულობების გეგმის ფაქტობრივმა შესრულებამ (ნაშთის ჩათვლით) 69098,4 ათასი ლარი შეადგინა.

#### ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის ბალანსი

დასახელება	2016 წელი		
	დამტკიცებული გეგმა	დაზუსტებული გეგმა	საკასო შესრულება
შემოსავლები	47 197,5	62 260,7	59 747,2
გადასახადები	17 190,0	18 190,0	17 175,5
გრანტები	21 498,0	34 472,4	34 371,3
სხვა შემოსავლები	8 509,5	9 598,3	8 200,4
ხარჯები	45 438,9	53 709,7	51 076,9
შრომის ანაზღაურება	4 393,5	4 480,0	4 462,9
საქონელი და მომსახურება	5 817,5	9 138,3	7 879,5
პროცენტი	7,0	1,3	1,2


სუბსიდიები	27 284,6	27 168,3	26 580,7
გრანტები	2 240,0	2 993,0	2 967,3
სოციალური უზრუნველყოფა	3 058,0	3 117,0	3 048,8
სხვა ხარჯები	2638,3	6 811,8	6 136,5
საოპერაციო სალდო	1 758,6	8 551,0	8 670,3
არაფინანსური აქტივების ცვლილება	1 631,6	13 238,5	10 920,4
<b>ზრდა</b>	<b>5 031,6</b>	<b>16 738,5</b>	<b>13 213,3</b>
<b>კლება</b>	<b>3 400,0</b>	<b>3 500,0</b>	<b>2 292,9</b>
მთლიანი სალდო	127,0	-4 687,5	-2 250,1
ფინანსური აქტივების ცვლილება	0,0	-6 352,6	-3 856,3
<b>ზრდა</b>	<b>0,0</b>	<b>407,0</b>	<b>3 202,0</b>
აქციები და სხვა კაპიტალი		407,0	407,0
სხვა დებიტორული დავალიანებები			2 795,0
<b>კლება</b>	<b>0,0</b>	<b>6 759,6</b>	<b>7 058,3</b>
სხვა დებიტორული დავალიანებები		6 759,6	7 058,3
ვალდებულებების ცვლილება	-127,0	-1 665,1	-1 606,2
<b>ზრდა</b>			
<b>კლება</b>	<b>127,0</b>	<b>1 665,1</b>	<b>1 606,2</b>
<b>საშინაო</b>			
ბალანსი	0,0	0,0	0,0

სახეობების მიხედვით შემოსულობები შემდეგნაირად გამოიყურება:



### შემოსავლები


ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შემოსავლებმა (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) 59747,2 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 62260,7 ათასი ლარის 96%-ია.



გადასახადების სახით 2016 წელს ადგილობრივ ბიუჯეტში მობილიზებულია 17175,5 ათასი ლარი, გეგმა (18190,0 ათასი ლარი) შესრულდა 94,4%-ით.

საშემოსავლო გადასახადი შეადგენს 6898,1 ათას ლარს (გეგმა 7620,0 ათასი ლარი), შესრულებულია 90,5%-ით. მათ შორის: მეწარმე ფიზიკურ პირთაგან მიღებული საშემოსავლო გადასახადი შეადგენს 6304,7 ათას ლარს, გადასახადი ფიზიკური პირის მიერ მატერიალური აქტივების რეალიზაციით მიღებული ნამეტიდან - 125,8 ათას ლარს, გადასახადი ფიზიკური პირის მიერ ქონების იჯარით გაცემის შედეგად მიღებული შემოსავლებიდან - 466,8 ათას ლარს.


ქონების გადასახადიდან საანგარიშო პერიოდში ფაქტობრივად მიღებულია 10277,4 ათასი ლარი, რაც გეგმის (10570,0 ათასი ლარი) 97,2%-ია, მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადი - 8803,3 ათასი ლარი (გეგმა 9000,0 შესრულდა 97,8%-ით), უცხოურ საწარმოთა ქონებაზე გადასახადი შემოვიდა 46,8 ათასი ლარის ოდენობით, რაც გეგმის (50,0 ათასი ლარი) 93,6%-ია, ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი - 276,2 ათასი ლარი (გეგმა 250,0 ათასი ლარი შესრულდა 110,5%-ით), გადასახადი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე - 1151,1 ათასი ლარი (გეგმის 1270,0 ლარი 90,6%).



ქონების გადასახადი	2016 წლის გეგმა	2016 წლის ფაქტი	შესრულების %
საწარმოთა ქონებაზე გადასახადი	9000,0	8803,3	97,8
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	50,0	46,8	93,6
ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი	250,0	276,2	110,5
მიწაზე ქონების გადასახადი	1270,0	1151,1	90,6
სულ	10570,0	10277,4	97,2

## გრანტები


2016 წელს გრანტების სახით ქუთაისის ბიუჯეტში ჩაირიცხა 34371,3 ათასი ლარი, გეგმის (34472,4 ათასი ლარი) 99,7%, აქედან, საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები შეადგენს 56,6 ათას ლარს, სხვა დონის სახელმწიფოთა ერთეულებიდან მიღებული გრანტები შეადგენს 34314,7 ათას ლარს, მათ შორის: გათანაბრებითი ტრანსფერი - 21278,0 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი - 220,0 ათასი ლარი, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაგეგმილი 12918,4 ათასი ლარიდან მიღებული იქნა - 12816,7 ათასი ლარი.



## სხვა შემოსავლები

2016 წლის განმავლობაში სხვა შემოსავლების კუთხით შემოვიდა 8200,4 ათასი ლარი, რაც გეგმის (9598,3 ათასი ლარის) 85,4%-ს შეადგენს.

### 2016 წლის სხვა შემოსავლები



**დივიდენდებიდან** ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსულია 17,0 ათასი ლარი.

**რენტის** სახით ბიუჯეტში შემოსულია 174,8 ათასი ლარი, მათ შორის:

მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის - 137,4 ათასი ლარი;

შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან - 37,4 ათასი ლარი, გეგმა (120,0 ათასი ლარი) შესრულდა 31,2%-ით;

**სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი** - 1945,0 ათასი ლარი, გეგმის (2177,0 ათასი ლარი) 89,3%;

**ადგილობრივი მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვაზე (გარდა განსაკუთრებული მშენებლობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტის მშენებლობისა) - 85,0 ათასი ლარი, გეგმის (65,0 ათასი ლარი) 130,8%;**

**სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი** - ფაქტობრივად შემოვიდა 7,0 ათასი ლარი, რაც გეგმის (10,0 ათასი ლარი) 70%-ია.;

**ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის** შესრულდა 98,7%-ით (გეგმა 1650,0 ათასი ლარი), ფაქტობრივად შემოვიდა 1628,9 ათასი ლარი. ასევე სხვა არაკლასიფიცირებული ადგილობრივი მოსაკრებლების კუთხით მიღებულია 9,7 ათასი ლარი;

**საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლიდან** მიღებულია 0,2 ათასი ლარი;

**შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები)** - ფაქტობრივად შემოსულმა თანხამ შეადგინა 2309,7 ათასი ლარი, რაც გეგმის (2207,8 ათასი ლარი) 106,6%-ია.

**შემოსავალი მომსახურების გაწევიდან** მიღებულია 538,9 ათასი ლარი.

**შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების** კუთხით სულ მიღებულია 1484,2 ათასი ლარი, გეგმა (2348,5 ათასი ლარი) შესრულდა 63,2%-ით. წლიური გეგმის განსაზღვრა მოხდა წინა წლების (2013-2014 წწ) ფაქტებიდან გამომდინარე.

### არაფინანსური აქტივები

არაფინანსური აქტივების კუთხით ადგილობრივ ბიუჯეტში ჩაირიცხა 2292,9 ათასი ლარი, გეგმა (3500,0 ათასი ლარი) შესრულდა 65,5%-ით, სადაც ძირითადი აქტივების გაყიდვიდან შემოვიდა 1138,8 ათასი ლარი, ხოლო მიწის გაყიდვიდან -1154,1 ათასი ლარი.

დასახელება	2016 წელი		
	გეგმა	ფაქტი	%
<b>არაფინანსური აქტივები</b>	<b>3500,0</b>	<b>2292,9</b>	<b>65,5</b>
შემოსულობა ძირითადი აქტივების გაყიდვიდან	1500,0	1138,8	75,9
შემოსულობა არაწარმოებული აქტივის (მიწის) გაყიდვიდან	2000,0	1154,1	57,7

### ფინანსური აქტივები

2016 წლის დასაწყისში ფინანსურმა აქტივებმა შეადგინა 7058,3 ათასი ლარი.

### ვალდებულებები

აღებული ვალდებულებების დასაფინანსებლად 2016 წლის ბიუჯეტში წლიური დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 1665,1 ათასი ლარის ოდენობით, აქედან დაიხარჯა 1606,2 ათასი ლარი (გეგმის 94,5%).

### გადასახდელები

2016 წლის განმავლობაში ბიუჯეტის გადასახდელების საკასო შესრულებამ შეადგინა 66303,4 ათასი ლარი, რაც გეგმის 72520,3 ათასი ლარის 91,4%-ია. შესაბამისად, ქალაქ ქუთაისის მერიის მიერ დაფინანსდა საბიუჯეტო ორგანიზაციების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯები, შესრულდა ქალაქის ინფრასტრუქტურისა და სოციალურ სფეროებში არსებული ყველა აუცილებელი ვალდებულება.




2016 წლის ქუთაისის ბიუჯეტის გადასახდელების ეკონომიკური კლასიფიკაცია შემდეგნაირად გამოიყურება:

დასახელება	2016 წელი			
	წლიური გეგმა	საკასო შესრულება	შესრულების %	ნაშთი
ხარჯები	53 709,7	51 076,9	95,1	2632,8
შრომის ანაზღაურება	4 480,0	4 462,9	99,6	17,1
საქონელი და მომსახურება	9 138,3	7 879,5	86,2	1258,8
პროცენტი	1,3	1,2	92,3	0,1
სუბსიდიები	27 168,3	26 580,7	97,8	587,6
გრანტები	2 993,0	2 967,3	99,1	25,7
სოციალური უზრუნველყოფა	3 117,0	3 048,8	97,8	68,2
სხვა ხარჯები	6 811,8	6136,5	90,1	675,3
არაფინანსური აქტივები	16 738,5	13 213,3	78,9	3525,2
ფინანსური აქტივები	407,0	407,0	100,0	0,0
ვალდებულებები	1 665,1	1 606,2	96,5	58,9
<b>სულ გადასახდელები</b>	<b>72 520,3</b>	<b>66 303,4</b>	<b>91,4</b>	<b>6216,9</b>

დაგეგმილი 72520,3 ათასი ლარის გადასახდელებიდან 2016 წლის მანძილზე დაიხარჯა 66303,4 ათასი ლარი.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის გადასახდელები პრიორიტეტების მიხედვით:



ორგანიზაციული კლასიფიკაციით 2016 წლის გადსახდელები შემდეგნაირად გამოიყურება:

დასახელება	2016 წლის დაზუსტებული გეგმა	2016 წლის ფაქტი	%
<b>ჯამური</b>	<b>72 520,3</b>	<b>66 303,4</b>	91,4
<b>წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება</b>	<b>7 546,9</b>	<b>7 395,8</b>	98,0
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო	1 137,5	1 117,6	98,3
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია	5 306,2	5 287,2	99,6
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო სამსახური	228,0	182,6	80,1
სარეზერვო ფონდი	519,0	503,2	97,0
წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა	37,8	34,9	92,3
კრედიტის დაფარვა (მ.გ.ფ.)	63,2	63,1	99,8

საჯარო მოსამსახურეთა სწავლება -გადამზადება	45,0		0,0
საინფორმაციო უზრუნველყოფის პროგრამა	190,0	187,5	98,7
საგრანტე პროგრამა „ქუთაისი ეს მუშაობს“	19,4	19,0	97,9
საგრანტე პროგრამა „ნარჩენების მართვის ინოვაციური გამოცდილების დანერგვა“	0,8	0,7	87,5
<b>ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია</b>	<b>25 822,6</b>	<b>21 393,8</b>	82,8
<b>საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების პროგრამა</b>	<b>15 147,1</b>	<b>12 591,5</b>	83,1
გზებისა და ტროტუარების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და მოვლა-პატრონობა	12 922,0	10 835,7	83,9
ცენტრალური გზებიდან საცხოვრებელი სახლების ეზოებამდე მისასვლელი გზების რეაბილიტაცია	977,6	954,4	97,6
საკანალიზაციო სისტემების, ღვარსადენების, წყლის სისტემის მოწყობა-რეაბილიტაცია	266,3	219,5	82,4
სტიქიის შედეგად სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელება	981,2	581,9	59,3
პროგრამა „კორპუსი“	3 846,1	3 393,9	88,2
სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის საცხოვრებელი სახლების ავარიული სახურავების რეაბილიტაციის პროგრამა	285,0	154,6	54,2
საახალწლოდ ქალაქის გაფორმების პროგრამა	149,9	20,3	13,5
საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების პროგრამა	217,0	148,2	68,3
<b>ქალაქის იერსახის მოწესრიგების პროგრამა</b>	<b>6 048,6</b>	<b>4 994,0</b>	82,6
გარეგანათების შუქნიშნებისა და ვიდეოკონტროლის სისტემების რეაბილიტაცია-ექსპლოატაცია	4 048,0	3 618,5	89,4
შადრევნების ექსპლოატაცია	359,0	341,6	95,2
ქალაქში საყრდენი და დამცავი კედლების მშენებლობა	158,0	77,8	49,2
ქალაქ ქუთაისში ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია	526,0	419,1	79,7
საბავშვო ატრაქციონებისა და ძელსკამების შექმნა-მონტაჟი და ექსპლოატაცია	137,8	136,8	99,3
მრავალსართულიანი სახლების რეაბილიტაცია და პანდუსების მოწყობა	716,9	336,5	46,9
ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით თავისუფალი ინიციატივების განხორციელება	67,9	48,4	71,3
ქალაქ ქუთაისში მემორიალური დაფების მოწყობა და პანთეონის მოვლა	35,0	15,3	43,7
<b>წინა პერიოდში განხორციელებული წარმატებული ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის საბოლოო ანგარიშსწორების პროგრამა</b>	<b>128,9</b>	<b>91,3</b>	70,8
<b>ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა</b>	<b>117,0</b>	<b>53,2</b>	45,5
თვითმმართველობის ქონების რეგისტრაციის, დაცვისა და ბალანსზე აყვანის პროგრამა	26,0	11,1	42,7
ტურიზმის განვითარების პროგრამა	56,0	42,1	75,2
ეკონომიკის სტიმულირებისა და ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამა	25,0		0,0
ააიპ „ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი“	10,0		0,0
<b>გარემოს დაცვა</b>	<b>6 390,0</b>	<b>6 264,3</b>	98,0
ააიპ „სპეციალური სერვისები“	5 300,0	5 236,2	98,8
ქალაქის გამწვანების, მოვლა-პატრონობისა და სკვერების კეთილმოწყობის პროგრამა	575,0	534,5	93,0
ააიპ „მოსწავლე ახალგაზრდობის პარკი“	200,0	179,6	89,8
ააიპ „ქალაქ ქუთაისის ბოტანიკური ბაღი“	315,0	314,0	99,7
<b>განათლება</b>	<b>10 989,5</b>	<b>10 738,6</b>	97,7
ააიპ „ქალაქ ქუთაისის ბავშვ-ბავშვების გაერთიანება“	9 590,0	9 421,4	98,2
განათლების ღონისძიებები	282,3	236,9	83,9
ააიპ „ი. ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა“	740,0	709,8	95,9
ქალაქ ქუთაისში ახალი ბავშვ-ბავშვების კაპიტალური მშენებლობა	377,2	370,5	98,2

<b>კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები</b>	<b>16 889,3</b>	<b>16 339,5</b>	96,7
<b>სპორტის განვითარების ხელშეწყობა</b>	<b>9 107,0</b>	<b>8 823,2</b>	96,9
ააიპ „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანება“	3 866,2	3 796,4	98,2
სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	992,9	888,2	89,5
შპს „საკალათბურთო კლუბი „ქუთაისი 2010“	920,0	917,2	99,7
ააიპ „ყინულის მოედანი“	117,3	117,1	99,8
სპორტის სასახლე	200,0	191,8	95,9
ააიპ „ქუთაისის ტაეკვონდოს სპორტული კლუბი“	30,0	22,5	75,0
შპს „საფეხბურთო კლუბი ტორპედო ქუთაისი“	1 382,9	1 382,9	100,0
ააიპ „ქალაქ ქუთაისის ხელბურთის კლუბი ქუთაისი 2015“	117,0	109,5	93,6
სპორტული ტრენაჟორების მოწყობა	167,1	158,5	94,9
სპორტული მოედნების და სასრილო ფიცრის ე.წ. „სკეიტბორდის“ მოედნის მოწყობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	686,5	612,0	89,1
ააიპ „ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდი“	627,1	627,1	100,0
<b>კულტურის განვითარების ხელშეწყობა</b>	<b>7 537,8</b>	<b>7 322,8</b>	97,1
ააიპ „ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანება“	3 267,0	3 267,0	100,0
კულტურის ღონისძიებების დაფინანსება	1 071,4	884,8	82,6
სსიპ „ნ. ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი“	80,0	54,4	68,0
ააიპ „ქალაქ ქუთაისის სამეფო კომპლექსი „ოქროს ჩარდახი“	36,0	36,0	100,0
ააიპ „ქუთაისის ფოლკლორის ცენტრი-სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი“	813,4	810,6	99,7
ლ. მესხიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი	1 055,0	1 055,0	100,0
მ. ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრი	950,0	950,0	100,0
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრი	265,0	265,0	100,0
<b>საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა</b>	<b>169,5</b>	<b>121,2</b>	71,5
<b>ქუთაის-გაენათის ეპარქია</b>	<b>75,0</b>	<b>72,3</b>	96,4
<b>მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა</b>	<b>4 765,0</b>	<b>4 118,2</b>	86,4
<b>ჯანდაცვის პროგრამები</b>	<b>1 008,0</b>	<b>912,8</b>	90,6
ააიპ „ქალაქ ქუთაისში საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი“	150,0	144,8	96,5
მედიკამენტებით უზრუნველყოფა	220,0	207,8	94,5
სამედიცინო დახმარება	565,0	498,4	88,2
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეთა პროფილაქტიკური გამოკვლევა	23,0	22,5	97,8
ეპილექსით დაავადებულ პირთა ანტიკონვულსანტებით უზრუნველყოფა	50,0	39,3	78,6
<b>სოციალური პროგრამები</b>	<b>3 757,0</b>	<b>3 205,4</b>	85,3
სოციალური საცხოვრისის კომუნალური ხრჯების უზრუნველყოფა	20,0	13,2	66,0
მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება	801,0	801,0	100,0
სარიტუალო დახმარების პროგრამა	70,0	32,7	46,7
სოციალური ღონისძიებები	410,0	303,7	74,1
სოციალური და დუვეელი ოჯახების ყოფითი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობა	400,0	236,2	59,1
განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა თანადგომა	150,0	141,7	94,5
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება	25,0	17,9	71,6
უფასო მგზავრობა	167,0	164,3	98,4

ააიპ „ქალაქ ქუთაისის მადლიერების სახლი“	670,0	619,0	92,4
საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში გარდაცვლილ მემართა ოჯახების კომუნალური გადასახადების თანადაფინანსება	20,0	9,7	48,5
კოხლარული იმპლანტი მოსარგებლე ბენეფიციართა დახმარება	15,0	5,5	36,7
ქალაქ ქუთაისში გუმათის ტერიტორიული ერთეულის სოციალურად დაუცველი ოჯახების ბუნებრივი აირის გამრიცხველიანების ხელშეწყობა	12,0	0,9	7,5
ლეიკოზითა და სოლიდური სიმსივნის ფორმით დაავადებულ პირთა თანადგომა	22,0	17,1	77,7
შინმოვლა	20,0	12,5	62,5
სოციალური საცხოვრისის მშენებლობა	955,0	830,0	86,9

**სარეზერვო ფონდიდან დახარჯულია 503,2 ათასი ლარი, მათ შორის:** მოქალაქეთა მატერიალური დახმარებისათვის - 487,4 ათასი ლარი; ანსამბლის „აისი“ ფოლკლორული ცეკვების საერთაშორისო ფესტივალზე „ბუდაპეშტი 2016“ გასამგზავრებლად ფონდიდან გამოიყო 3,8 ათასი ლარი; ქალაქ ქუთაისში, ახალგაზრდობის გამზირის N94-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსის სახურავის სარემონტო სამუშაოების ჩატარების მიზნით სარეზერვო ფონდიდან გამოიყო 12,0 ათასი ლარი.

**ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლუატაციის 2016 წლის საკასო შესრულება შეადგენს 21393,8 ათას ლარს. გეგმა განისაზღვრა 25822,6 ათასი ლარით (82,8%).**

**საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა დაფინანსდა 12591,5 ათასი ლარით, გეგმა 15147,1 ათასი ლარი შესრულდა 83,1%-ით.**

**გზებისა და ტროტუარების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და მოვლა-პატრონობის ხარჯები დაფინანსდა 10835,7 ათასი ლარით, რაც გეგმის (12922,0 ათასი ლარი) 83,9%-ია.** საქართველოს მთავრობის 02/04/2016 წლის №175 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან ქალაქში გზების კაპიტალური შეკეთების სამუშაოები ჩატარდა 84 ქუჩას, საერთო სიგრძით 18345 გრძივი მეტრი გზა, ფართით 109293მ<sup>2</sup>, (14586 გრძ.მ. ბეტონი, 2535 გრძ.მ. ა/ბეტონი, გრანიტის ფილები 239 გრძ.მ. და 985 გრძ.მ. დაწნეხილი ფილები), აქედან, დღეის მდგომარეობით, მთლიანად დასრულებულია 74 ქუჩა, 10 ქუჩაზე მიმდინარეობს წყალმომარეგების ქსელის რეაბილიტაცია. რგფ-ს დაფინანსებული პროექტების გარდა ქალაქ ქუთაისის ადგილობრივი ბიუჯეტით ქალაქის სხვადასხვა უბანში დაფინანსდა და განხორციელდა გზებისა და ტროტუარების ა/ბეტონისა და ბეტონის საფარით მიმდინარე (ორმოული) შეკეთება და გზის სავალ ნაწილსა და ტროტუარებზე გრანიტის ფილებისა და ქვის ძეგლების შეკეთება.

**ცენტრალური გზებიდან საცხოვრებელი სახლების ეზოებამდე მისასვლელი გზების რეაბილიტაციისათვის გეგმა განისაზღვრა 977,6 ათასი ლარით, დაიხარჯა 954,4 ათასი ლარი (97,6%). მისასვლელი გზების რეაბილიტაცია განხორციელდა 77 ობიექტზე.**

საკანალიზაციო სისტემების, ღვარსადენების, წყლის სისტემის მოწყობა-რეაბილიტაციის ღონისძიებები დაფინანსდა 219,5 ათასი ლარით და გეგმა (266,3 ათასი ლარი) შესრულდა 82,4%-ით. პროგრამის ფარგლებში 3 ობიექტზე მოეწყო ახალი საკანალიზაციო სისტემა, კერძოდ, მოეწყო ქალაქ ქუთაისში ლადო მესხიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის ეზოში ახალი სანიაღვრე ქსელი. 2 ობიექტზე (დადიანისა და განჯის ქუჩები) მოეწყო ღვარსადენი სისტემა. არსებული 15 ერთეული ბუნებრივი სასულებების მოვლა-პატრონობისა და ექსპლოატაციის გარდა, რეაბილიტაცია ჩაუტარდა მიზანდარის ქუჩაზე მდებარე ბუნებრივ სასულეს.

სტიქიის შედეგად სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელება განხორციელდა 581,9 ათასი ლარის ფარგლებში, წლიური გეგმა შეადგენდა 981,2 ათას ლარს (59,3%).


პროგრამა „კორპუსისთვის“ 2016 წლის ბიუჯეტში დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული იყო 3846,1 ათასი ლარი, აქედან დაიხარჯა 3393,9 ათასი ლარი (88,2%). 484,4 ათასი ლარის ფარგლებში კეთილმოეწყო და აღდგა 40 ლიფტი, 2627,4 ათასი ლარის ფარგლებში კეთილმოეწყო 157 საცხოვრებელი სახლის ეზო, 139 სადარბაზოს რეაბილიტაციაზე დაიხარჯა 359,8 ათასი ლარი, 77 საცხოვრებელი სახლის სარდაფში დაზიანებული წყალ-კანალიზაციის რეაბილიტაციისათვის დაიხარჯა 211,4 ათასი ლარი, გადასახური მასალა გადაეცა 91 ამხანაგობას.

სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის საცხოვრებელი სახლების ავარიული სახურავების რეაბილიტაციის პროგრამა დაფინანსდა 954,4 ათასი ლარით და გეგმა (977,6 ათასი ლარი) შესრულდა 97,6%-ით. პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის საცხოვრებელი სახლის ავარიული სახურავის გადახურვა 50 ობიექტზე.

საახალწლოდ ქალაქის გაფორმების ღონისძიებები - დაზუსტებული გეგმიდან (149,9 ათასი ლარი) საანგარიშო პერიოდში დაიხარჯა 20,3 ათასი ლარი, გეგმის 13,5%.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების პროგრამის საკასო ხარჯმა შეადგინა 148,2 ათასი ლარი, გეგმა (217,0 ათასი ლარი) შესრულდა 68,3%-ით.

ქალაქის იერსახის მოწესრიგების პროგრამის საკასო შესრულება შეადგენს 4994,0 ათას ლარს, გეგმა 6048,6 ათასი ლარი შესრულდა 82,6%-ით.



გარეგანათების, ვიდეოკონტროლისა და შუქნიშნების რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია საკასო შესრულებამ 3618,5 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმით გათვალისწინებული 4048,0 ათასი ლარის 89,4%-ია. აღნიშნული დაფინანსების ფარგლებში განხორციელდა საავტომობილო მაგისტრალზე სიჩქარის მზომი რადარების 3 კომპლექტის შესყიდვა-მონტაჟი; რუსთაველის გამზირის (ავიასალაროსთან) და ირ. აბაშიძის გამზირზე (იუსტიციის სახლის მიმდებარედ) ახალი შუქნიშანი, ასევე, ქალაქში 7 გზაჯვარედინზე მოეწყო თანამედროვე შუქნიშნები; დავით აღმაშენებლისა და ირ. აბაშიძის გამზირებზე დამონტაჟდა სიჩქარის მზომი 3 ცალი რადარი; განხორციელდა გარეგანათების ქსელის ავტომატური მართვის სისტემის შეძენა-მონტაჟი და პროგრამული უზრუნველყოფა. განათდა ქალაქის თეთრი, წითელი და რუსთაველის ხიდები. ქალაქის ქუჩებში შეიცვალა: ა) დნატ -250 ნათურები 120 ვატიანი დიოდური კონსოლური სანათებით--540 ცალი, ბ) დნატ - 150 ნათურები 90 ვატიანი დიოდური კონსოლური სანათებით-900 ცალი. დამონტაჟდა ახალი სანათი წერტილები-48 ცალი, შეიღება გარე განათების ლითონის ბოძები და კრონშტეინები-1200 ცალი, განხორციელდა დაზიანებული კაბელების აღდგენა და შეცვლა, (საერთო სიგრძე-14 400 მეტრი); დაზიანებული ბოძების აღდგენა (84 ცალი). ასევე სისტემატურად იცვლებოდა გარეგანათების გადამწვარი ნათურები ახლით, მომსახურება გაეწია სატრანსპორტო და საფეხმავლო შუქნიშნებსა და ვიდეოსამეთვალყურეო სისტემებს.

შადრევნების ექსპლუატაციისათვის გეგმით გათვალისწინებული 359,0 ათასი ლარიდან დაიხარჯა 341,6 ათასი ლარი (95,2%). ექსპლუატაცია გაეწია ქალაქში არსებულ 11 შადრევანსა და 3 ერთეულ სასამელ ნიჟარას.

ქალაქში საყრდენი და დამცავი კედლების მშენებლობის პროგრამა ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა 77,8 ათასი ლარის ოდენობით, გეგმით გათვალისწინებული 158,0 ათასი ლარის 49,2%-ით. საყრდენი კედელი აღდგა რიონჰესის ქუჩის N1 და მწვანე ყვავილას ქუჩის N198-ში.

**ქალაქ ქუთაისში ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროგრამა - დაიხარჯა 419,1 ათასი ლარი, გეგმით (526,0 ათასი ლარი) გათვალისწინებულის 79,7%.**

**მელსკამებისა და საბავშვო ატრაქციონების შექმნა-მონტაჟი პროგრამის ხარჯი შეადგენს 136,8 ათას ლარს, გეგმა (137,8 ათასი ლარი) შესრულდა 99,3%-ით.**

მრავალსართულიანი სახლების რეაბილიტაცია და პანდუსების მოწყობისათვის განსაზღვრული გეგმა 716,9 ათასი ლარი შესრულდა (336,5 ათასი ლარი) 46,9%-ით. პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს და თითქმის დასრულებულია ფალიაშვილის ქუჩაზე (14 ობიექტი) საცხოვრებელი სახლების ფასადების რეაბილიტაცია. განხორციელდა გ. ტაბიძის ქუჩის N38-ში შენობების ფასადის რეაბილიტაციის სამუშაოები.

ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით თავისუფალი ინიციატივების განხორციელება დაფინანსდა 48,4 ათასი ლარით და გეგმა (67,9 ათასი ლარი) შესრულდა 71,3%-ით. პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 5 ინიციატივის დაფინანსება.

**ქალაქ ქუთაისში მემორიალური დაფების მოწყობისა და პანთეონის მოვლის ხარჯი შეადგენს 15,3 ათას ლარს, რაც გეგმის (35,0 ათასი ლარი) 43,7%-ია.**

**წინა პერიოდში განხორციელებული წარმატებული ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის საბოლოო ანგარიშსწორების პროგრამა დაფინანსდა 91,3 ათასი ლარით, გეგმა განისაზღვრა 128,9 ათასი ლარით,(70,8%).**

ეკონომიკის საკასო შესრულება შეადგენს 53,2 ათას ლარს, გეგმა 117,0 ათასი ლარი შესრულდა 45,5%-ით.

თვითმმართველობის ქონების რეგისტრაციის, დაცვისა და ბალანსზე აყვანის პროგრამა - სულ დაიხარჯა 11,1 ათასი ლარი და გეგმა (26,0 ათასი ლარი) შესრულდა 42,7%-ით. 2016 წელს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დარეგისტრირებული იქნა 32 ერთეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საერთო ფართობით - 109289 კვ.მ). განხორციელდა 126 ერთეული ძირითადი ქონების რეგისტრაცია (სკვერი, გაზონი, მწვანე ზოლი, ტროტუარი, გზის ნაწილი, ჩიხი, ავტოსადგომი და სხვა) საერთო ფართობით - 29448 კვ.მ. სახელმწიფოს მიერ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემული და რეგისტრირებული იქნა: 13 ერთეული შენობა-ნაგებობა და მასზე დამაგრებული მიწის ნაკვეთი (შენობის ფართობი - 11835 კვ.მ; მიწის ფართობი - 46844.0 მათ შორის, თანასაკუთრებაში



არსებული წილობრივად დამაგრებული - 3487 კვ.მ მიწის ნაკვეთი); 10 ერთეული მიწის ნაკვეთი ფართობით - 26411 კვ.მ. საერთო ჯამში მუნიციპალიტეტის საკუთრებაში 2016 წელს დარეგისტრირდა 208605 კვ.მ მიწა.

**ტურიზმის განვითარების პროგრამის** საკასო შესრულება შეადგენს 42,1 ათას ლარს, გეგმა განისაზღვრა 56,0 ათასი ლარით (75,2%). ქვეპროგრამის ფარგლებში ქალაქმა მონაწილეობა მიიღო 7 საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობაში: პოლონეთი/პოზნანი „Tour Salon 2016“, ისრაელი/თელ-ავივი „IMTM-2016“, ლატვია/რიგა „BALTTUR 2016“, გერმანია/ბერლინი „ITB 2016“, აზერბაიჯანი/ ბაქო „AITF-2016“, ყაზახეთი/ალმა-ათა „KITF-2016“, რუსეთის ფედერაცია/მოსკოვი „ОТДЫХ 2016“. შეიქმნა ქალაქის ტურისტული ლოგო და სლოგანი კომპანია „[HOLMES&WATSON](#)“-ის მიერ. ლოგო და სლოგანი ეფექტურად წარმოაჩენს ქალაქის ტურისტულ პოტენციალს, სხვადასხვა ტიპის გამოფენებსა და ფესტივალებზე საქართველოსა და მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში. შეიქმნა ქუთაისის პირველი ტურისტული ვებგვერდი: Kutaisi. Travel. ვებგვერდი მუშაობს მუდმივი განახლების რეჟიმში და არის ინფორმაციული – განთავსებისა და კვების ობიექტების სრული ნუსხით, მგზავრობის, ღირსშესანიშნაობების შესახებ და მრავალი სხვა სახის ინფორმაციით, რაც აუცილებელია ქუთაისში ჩამოსული ტურისტისთვის. ვებგვერდზე ინფორმაცია განთავსებულია ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე. დაიბეჭდა ტურისტული საინფორმაციო, სარეკლამო მასალები: ქუთაისის რუკა/„Kutaisi Tourist Map“; ბროშურა „Kutaisi-The Heart of Georgia“; ქუთაისის გზამკვლევი - „Kutaisi City Guide“; ბროშურა „Imeretian Cuisine“; საფოსტო ბარათები ქალაქის სიმბოლიკით. WIZZ AIR-ის ყოველთვიურ ჟურნალში განთავსდა სარეკლამო ინფორმაცია ქალაქ ქუთაისის ტურისტული პოტენციალის შესახებ, ქალაქის მერის მიმართვასთან ერთად. 2016 წლის ივნისში ტურიზმის განყოფილების ინიციატივით გაიმართა ტრენინგი თემაზე: „გახდი გიდი შენს ქალაქში“. პროექტში მონაწილეობა მიიღო ქალაქ ქუთაისის აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ქუთაისის უნივერსიტეტის 10-მა სტუდენტმა. ერთი კვირის განმავლობაში ახალგაზრდებმა თემატიკის მიხედვით გაიარეს, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული კურსი. პროექტი მიზნად ისახავდა სტუდენტების კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობას, სტუდენტებთან ურთიერთობის გაძლიერებას, გიდის პროფესიის პოპულარიზაციას. 2016 წლის განმავლობაში ქალაქ ქუთაისში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ორგანიზებითა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვის სამსახურის ტურიზმის განყოფილების მხარდაჭერით, ქალაქ ქუთაისის სასტუმროების მომსახურე პეროსანლისთვის ჩატარდა „ტრენინგები“, რომლებშიც მონაწილეობა

მიიღო ქალაქ ქუთაისის სასტუმროების, საოჯახო სასტუმროებისა და ჰოსტელების თანამშრომელმა. ტრენინგის დასრულების შემდეგ მონაწილეებს გადაეცათ შესაბამისი სერტიფიკატები.

**გარემოს დაცვის ხარჯები შეადგენს 6264,3 ათას ლარს, დაზუსტებული გეგმა შეადგენს 6390,0 ათას ლარს (98%).**

ააიპ „სპეციალური სერვისები“ - 2016 წელს დაიხარჯა 5236,2 ათასი ლარი, რაც გეგმის (5300,0 ათასი ლარი) 98,8%-ია. ქვეპროგრამის ფარგლებში ყოველდღიურად იგვებოდა 98 ცენტრალური ქუჩა. აქედან, 40 ქუჩა დღეში ორჯერადად და 58 ქუჩა ერთჯერადად, 2367,4 ათასი კვ.მ. ფართი. ხდებოდა ცენტრალური ქუჩების მორწყვა-ჩარეცხვა; 2016 წლის გნმავლობაში ქალაქიდან გატანილმა საყოფაცხოვრებო ნარჩენებმა შეადგინა 54738,020 ტონა; ამავე პერიოდში სულ გადაიბელა 1992 ხე, აქედან, 1461 დაბალი ტანის ხეები და 531 მაღალი ტანის ხეები, დაკმაყოფილდა სამუშაოთ 610 სოციალურად დაუცველი ოჯახი. მაგისტრალების დახაზვა და მონიშვნითი სამუშაოები ჩატარდა გამოყოფილ სპეციალურ ადგილებში. სულ დაიხაზა 3703 კვ. მეტრი, დამონტაჟდა 385 ცალი საგზაო ნიშანი. ქალაქის ტერიტორიაზე ბაღებთან, სკოლებთან და მოსახლეობის მოთხოვნით გზებზე დამონტაჟდა 161 ზოლი სიჩქარის შემზღვეველი ბარიერი; გაიწმინდა 42704 გრძივი მეტრი სანიაღვრე არხი. დამონტაჟდა 1000 გრძივი მეტრი გოფირებული მილი. დამონტაჟდა 1794 გრძივი მეტრი ბეტონის არხი, შეკეთდა 1000 ერთეული ჭა, შეიცვალა 101 ერთეული მეტალის ჭის თავი; ხდებოდა მეთვალყურეობის გარეშე დარჩენილი ცხოველების იზოლირება. აქედან, თავშესაფარში ცოფზე აიცრა 1763 ძალი, ოპერაცია ჩაუტარდა 1600 ძალს, გაკეთდა კასტრაცია, სტერილიზაცია, მკურნალობა ჩაუტარდა სხვადასხვა დაავადებებზე.


**ქალაქის გამწვანების, მოვლა - პატრონობისა და სკვერების კეთილმოწყობის პროგრამა** - დაიხარჯა 534,5 ათასი ლარი, გეგმა (575,0 ათასი ლარი) შესრულდა 93%-ით; განხორციელდა ორახელაშვილის ქუჩაზე საპატრულო პოლიციის წინ, სულხან-საბას გამზირის N19-ის წინ სკვერების მოწყობის სამუშაოები; 9 აპრილის სკვერში, ორგანიზაციების წინ, მისასვლელი ბილიკების გრანიტის ფილებით მოწყობის სამუშაოები .

**მოსწავლე - ახალგაზრდობის პარკი** დაფინანსდა 179,6 ათასი ლარით, გეგმა შეადგენს 200,0 ათას ლარს, დაფინანსება განხორციელდა 89,8%-ით. ქვეპროგრამის ფარგლებში დაიდგა ატრაქციონი „კარეტა“ და „პონი“. შეძენილ იქნა: 70 ერთ. ვარდის ნერგი პარკის ცენტრალურ ნაწილში დასარგავად, 25 კვ. სასუქი „ამოფოსი“ ნარგავების გასანოყიერებლად, 350 კვ. კირი და შეთეთრდა 7.2 ჰა-ზე არსებული ხის ნარგავები,

მარადმწვანე ყვავილები (აუკუბა, კამელია, სურნელოვანი მაჯადელი, აზალია), დეკორატიული ნაძვი და დეკორატიული ტუია; ბალახის თესლი, რომელიც დაითესა პარკის გაზონებში. პარკის ტერიტორიაზე დამატებით დამონტაჟდა 2 ვიდეოთვალი. გაკეთდა რეზო ჭეიშვილის ბიუსტი და ხეივანი, სადაც დაირგო მარადმწვანე ჭანჭყატები. გაკეთდა ოტია იოსელიანის ბიუსტი და ხეივანი. სადაც დაირგო მარადმწვანე ჭანჭყატები. პარკის ტერიტორიაზე მდებარე ტირის კედელი 5მ-2.5 მ-ზე მოიხატა მხატვარ ლევან გოგიტაძის მიერ. ჩატარდა პარკის შემოსასვლელში მდებარე თრიალეთის ლომების სარესტავრაციო სამუშაოები. მოეწყო „ცისფერყანწელთა“ ხეივანი, რისთვისაც დამზადდა ბანერი და დაირგო მარადმწვანე დეკორატიული მცენარეები. გაკეთდა ქართველთა და ებრაელთა მეგობრობის ხეივანი, გაკეთდა შემოსასვლელი კოლონადის კიბეები. საშუალოდ, ყოველდღიურად, პარკს სტუმრობს ზამთარში 100, ზაფხულში 300-500 ადამიანი.

**ბოტანიკური ბაღი** დაფინანსდა 314,0 ათასი ლარით, გეგმა შეადგენს 315,0 ათას ლარს, დაფინანსება განხორციელდა 99,7%-ით. ქვეპროგრამის ფარგლებში მთლიანად განახლდა ცენტრალური შემოსასვლელი. მოეწყო კოლონადები და დამონტაჟდა ახალი დიზაინით გაკეთებული ცენტრალური შემოსასვლელი ჭიშკარი. ჭიშკრის ორივე მხარეს მოეწყო განათებული აბრა ბოტანიკური ბაღის ლოგოთი და წარწერით. ბოტანიკური ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე კერძოდ, ქვედა პარკში განახლდა წყლის აუზი და მოეწყო შადრევანი, აქვე გაკეთდა საქანელა სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის. გრანიტის ფილებისგან დაიგო გზა, დაახლოებით, 120 გრძ. მეტრი, რომელიც ადმინისტრაციული შენობიდან იწყება და მარადმწვანე სექვოიამდე გრძელდება. გზის ამ მონაკვეთის კეთილმოწყობით. ერთ წრედ შეიკრა და დასრულდა საექსკურსიო მარშრუტის სვლაგეზი. ბაღის ვიზიტორთა მოზიდვის მიზნით დაიდგა ეტლის იმიტირებული კონსტრუქცია. ცენტრალური შემოსასვლელის გვერდით მოეწყო პანდუსი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უპრობლემოდ შემოსვლისათვის. დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება მეზღვებისთვის საშხაპეებისა და სველი წერტილების მოსაწყობად. ბოტანიკურ ბაღში მრავალწლოვანი სარეველებისგან გაიწმინდა რამდენიმე მონაკვეთი, რამაც ვიზუალურად უფრო მიმზიდველი გახადა ბაღი. ბაღში ჩატარდა ნორჩ-კინომოყვარულთა შეკრება-სწავლება, რომელთა მიერ გადაღებული იქნა დოკუმენტური ფილმი ქუთაისის ბოტანიკური ბაღის შესახებ. ჩატარდა სხვადასხვა ღონისძიება სკოლამდელი ასაკის ბავშვებისა და მოსწავლეთა მონაწილეობით.

**განათლების კუთხით** დახარჯულმა თანხებმა 10738,6 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის (10989,5 ათასი ლარი) 97,7%-ია. 2015 წელთან შედარებით (9771,0 ათასი ლარი) ხარჯები გაზრდილია 967,0 ათასი ლარით.



ააიპ „ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანება“ 2016 წელს დაფინანსდა 9421,4 ათასი ლარით (გეგმა 9590,0 ათასი ლარი). გაერთიანებაში ბავშვთა რაოდენობა 2016 წელს 9900-დან 10000-მდე მერყეობდა, საშუალოდ ცხადდებოდა 8000 ბავში, მომსახურე პერსონალის რაოდენობა შეადგენს 1684 კაცს. 2016 წელს გაერთიანების ყველა ფილიალში დამონტაჟდა ცხელი წყლის სისტემა. წლის განმავლობაში ფილიალებისათვის შეძენილ იქნა ახალი ავეჯი, ფარდები, საბნები, ზეწრები, წყლის ავზები, მატრასები, სამზარეულოს ინვენტარი, გარდა ამისა, განხორციელდა ბაგა-ბაღების პერსონალის გადამზადება. არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში, გეგმით გამოყოფილი 575,0 ათასი ლარიდან დაიხარჯა 552.682 ათასი ლარი, სამი ბაგა-ბაღის შენობაზე გაკეთდა მიშენებები. ბაგა-ბაღების გაერთიანების სახელფასო ფონდი გაიზარდა 984.325 ათასი ლარით, ხელფასების მატებისა და ცეკვის პედაგოგების დანიშვნის ხარჯზე. სასკოლო მზაობის ჯგუფებისა და მათი პედაგოგებისთვის შეძენილ იქნა სახელმძღვანელოები.

**ქალაქ ქუთაისში ახალი ბაგა-ბაღების კაპიტალური მშენებლობისათვის** გეგმით გამოყოფილი 377,2 ათასი ლარიდან დაიხარჯა 370,5 ათასი ლარი. განხორციელდა ბუხაიძის ქუჩის მე-2 მიკრორაიონის N14-ში მდებარე ბაგა-ბაღის გაერთიანების N17 ფილიალის წყალანირების სისტემების მოწყობა; ზ. ჭავჭავაძის ქუჩაზე მდებარე N5 საბავშვო ბაგა-ბაღის ახალი სანიაღვრე ქსელის მოწყობა.

**განათლების ღონისძიებების** ქვეპროგრამის ბიუჯეტით გამოყოფილი 282,3 ათასი ლარიდან დაიხარჯა 236,9 ათასი ლარი (83,9%). განხორციელდა წლის განმავლობაში დაგეგმილი ყველა ღონისძიება. წლის მანძილზე დაფინანსდა: სოციალურად დაუცველ და წარმატებულ მოსწავლეთა


საზაფხულო ბანაკის პედაგოგთა ჯილდო, ბაკურ ცუცხაშვილის შიგა ევროპის ინფორმატიკის ოლიმპიადაზე რუმინეთის ქალაქ პიატრა-ნემტში გამგზავრება, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორების ირაკლი ცხვედიანისა და თამარ ლომთაძის საბერძნეთის ქალაქ ირაკლიონში საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე მონაწილეობა, ქალაქ ქუთაისის სასკოლო ჰაკათონის გამარჯვებულთა ჯილდო, გიორგი ჭეიშვილის ესპანეთის ქალაქ ტენერიფში საერთაშორისო კონკურს-ფესტივალზე მონაწილეობა, „ეტალონში“ გამარჯვებული მოსწავლე დემურ დანგაძისა და სკოლის დირექტორის მალხაზ ბუხაიძის შემეცნებითი ბანაკის „მცირე აკადემია“ პედაგოგთა ჯილდო, მასწავლებლის დღესთან დაკავშირებით ღვაწლმოსილ და წარმატებულ პედაგოგთა ჯილდო, აკაკი დვალისხვილის ჭადრაკში ასაკობრივი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ტურზე გამგზავრება, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჰაკათონის კონკურსში გამარჯვებული სტუდენტების ჯილდო, ეთერ ცქიფურიშვილის ქალაქ ბაქოში საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალზე გამგზავრება, მასწავლებლის დღესთან დაკავშირებით 2016 წლის გამოსაშვები გამოცდების წარმატებული შედეგების მქონე სკოლების ჯილდო, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების: თამარ ქორიძისა და თინათინ ბურჯალიანის დიალექტოლოგიურ პრაქტიკა/ექსპედიციაში მონაწილეობა.

საერთაშორისო კონკურსებსა და ფესტივალებზე ქუთაისელი მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის გამოყოფილი თანხიდან დაფინანსდა ქალაქ ქუთაისის მ. ბალანჩივაძის სახელობის N1 სამუსიკო სასწავლებლის მოსწავლეების: სალომე გიორგაძის, კატერინა გეგელიას და პედაგოგების: ლია ჯიმშელიშვილისა და თეონა ქურდიძის ჯილდო, ქუთაისის სამუსიკო კოლეჯის სტუდენტების“ ნიკოლოზ მაჭავარიანისა და ბელა ხუჯაძის ქალაქ ბათუმში საერთაშორისო კონკურს-ფესტივალზე „ჰარმონია“ მონაწილეობა, ა. რაზმაძის სახელობის N41 ფიზიკა - მათემატიკის საჯარო სკოლის მოსწავლეების უკრაინის ქალაქ მონასტირიშენსკში გამგზავრება, ლიზა ლოლაძის სომხეთის ქალაქ გიუმრში საერთაშორისო სამუსიკო კონკურს-ფესტივალში მონაწილეობა, ქალაქ ქუთაისის მ. ბალანჩივაძის სახელობის N1 სამუსიკო სასწავლებლის მოსწავლის ბუბა ჩხიკვაძის ლიტვაში საერთაშორისო კონკურსში მონაწილეობა, ქუთაისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის N2 სამუსიკო სკოლის პედაგოგის, სოფიო ხურცილავას და მოსწავლე ნატალი ხურციძის კლასიკური მუსიკის ფესტივალზე გამგზავრება.

**ი. ჭავჭავაძის სახელობის ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის** ხარჯმა შეადგინა 709,8 ათასი ლარი, გეგმა განისაზღვრა 740,0 ათასი ლარით. (95,9%). 2016 წელს გადაიხურა ა. სინაურის სახელობის ლიტერატურული სახლი, აგრეთვე, საჯარო ბიბლიოთეკის აღმოსავლეთ და დასავლეთ კულტურის საინფორმაციო ცენტრის სახურავი, შეძენილ იქნა 4980 ლარის პერიოდული გამოცემები; ორი ერთეული კომპიუტერი; წიგნების გაციფრებისათვის საჭირო ფოტოაპარატი; დაიბეჭდა სამეცნიერო გამოცემათა კრებულის წელიწადული მერვე გამოცემა;

დაიგო საცავის განყოფილების ახალი იატაკის საფარი; 2016 წლის განმავლობაში ბიბლიოთეკები მოემსახურა 11961 მკითხველს. საჯარო ბიბლიოთეკასა და ბიბლიოთეკათა ფილიალებში ჩატარდა სხვადასხვა შინაარსის ღონისძიებები.

**დასვენება, კულტურა და რელიგია** 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა 16339,5 ათასი ლარით, რაც გეგმის (16889,3 ათასი ლარი) 96,7%-ს შეადგენს.



ააიპ „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანებას“ 2016 წლის ბიუჯეტში გამოეყო 3866,2 ათასი ლარი, წლის მანძილზე ათვისებულ იქნა 3796,4 ათასი ლარი, რაც გეგმის 98,2%-ს შეადგენს. მიღებული დაფინანსების შედეგად შესყიდული იქნა გაერთიანების ფუნქციონირებისათვის აუცილებელი მომსახურება: სპორტული, ფიზიკურ სიჯანსაღესთან დაკავშირებული (სარეაბილიტაციო მომსახურება), ტურნირის ორგანიზების, ინტერნეტის, ლოკალური ქსელის, საინფორმაციო, ტელევიზიის, სატელეფონო, ელექტროენერჯის, გაზომომარაგების, ფოსტის, ბეჭდვის, დეზინფექციის, ტრანსპორტის, დაცვის, სასტუმროს, კატრიჯების დამუხტვის. ასევე, შესყიდულ იქნა: საოფისე ავეჯი, ავტოსანტრანსპორტო საშუალება მე-12 ფილიალისათვის (ველოსპორტისათვის), სპორტული ინვენტარი: სამსაჯო მაგიდები და ტატამი მე-12 ფილიალისათვის, მე-11 ფილიალისათვის ჩოგბურთის, მაგიდის ჩოგბურთის ბურთები, კალაბურთის ფარები, პროტეინები ძალოსნებისათვის, ავეჯი ადმინისტრაციისათვის, თასები და მედლები, თივა საცხენოსნო კლუბისათვის, მედიკამენტები და სხვა სახარჯი მასალა, საწვავი, საკნაცელარიო ნივთები, საწმედ - საპრიალებელი და პირადი ჰიგიენური საშუალებები, ასევე,

სხვადასხვა ქარხნული მასალა. სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა: გაერთიანების ადმინისტრაციის ორ ოთახს და საპირფარეშოს, მე-17 ფილიალის ჭიდაობის დარბაზს (მისანართი: მშვიდობის ქუჩა 2), 94-ე ფილიალის ადმინისტრაციის შენობას, მე-12 ფილიალის კარატეს დარბაზს, მე-11 ფილიალის ჩოგბურთის კორტებს (მისამართი: აკ ხორავას ქუჩა №1) და რომევიჩის ქუჩა №2ა), მე-18 ფილიალის კრივის დარბაზს და 21-ე ფილიალს (შემოღობვა), ააიპ ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანებამ უზრუნველყო 2016 წელს სპორტულ ღონისძიებათა პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების ჩატარება, რომელიც მოიცავდა სულ 41 ღონისძიებას, აქედან 7 (შვიდ) საერთაშორისო ტურნირს. ააიპ-ი ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების სპორტსმენებმა 2016 წელს სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებში სულ 1106 საპრიზო ადგილი დაიკავეს. I ადგილი დაიკავეს 439 სპორტსმენმა, II ადგილი - 305 სპორტსმენმა და III ადგილი - 362 სპორტსმენმა

**სპორტული ღონისძიებების პროგრამა** დაფინანსდა 888,2 ათასი ლარით, რაც გეგმის (992,9 ათასი ლარი) 89,5%-ია. 2016 წლის განმავლობაში სპორტის განყოფილების მიერ ჩატარდა 8 საერთაშორისო, 1 რესპუბლიკური და 5 საქალაქო ტურნირი. გარდა ამისა, ჩატარდა 1 საქალაქო ღია ჩემპიონატი, 2 საერთაშორისო ღია პირველობა, 3 საქალაქო ღონისძიება, სასკოლო პირველობა და სასკოლო სპორტული ოლიმპიადა, ავტორალი პროფესიონალ და მოყვარულ მრბოლელთა მონაწილეობით.

წლის განმავლობაში 2 ოლიმპიურ ჩემპიონზე და 39 წარმატებულ სპორტსმენზე გაიცა სტიპენდია, ასევე გაიცა თანხები ჯილდოს სახით იუბილარ სპორტსმენებზე და სოციალური დახმარება მოქმედ სპორტსმენებსა და გარდაცვლილ სპორტსმენთა ოჯახებზე, გამოიცა ზურაბ ჯავახაძის წიგნი, რომელიც ასახავს ქუთაისის სპორტულ ცხოვრებას, პრემიების სახით გაიცა თანხები საქართველოს, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე გამარჯვებულ (პრიზიორი) სპორტსმენებზე, ვეტერან სპორტსმენებსა და სპორტის დამსახურებულ მუშაკებსა და მწვრთნელებზე, გამოიყო თანხები რაგბის ხელშეწყობისათვის, სპორტული ღონისძიებების სასტუმრო და კვებითი მომსახურებისათვის, ჩატარდა მწვრთნელებისათვის ტრენინგ-სემინარები. წლის განმავლობაში მიმდინარეობდა მნიშვნელოვანი სპორტული ღონისძიებების გადაღება, გაშუქება, დაარქივება. ჩატარდა წლის წარმატებული სპორტსმენების საზეიმო მიღება.

**შპს „საკალათბურთო კლუბი „ქუთაისი 2010“** - დაფინანსდა 917,2 ათასი ლარით, ხარჯი შეადგენს გეგმის (920,0 ათასი ლარი) 99,7%-ს.

**ყინულის მოედნი** დაფინანსდა 117,1 ათასი ლარით, რაც შეადგენს კომუნალურ ხარჯებს.

**სპორტის სასახლე** დაფინანსდა 191,8 ათასი ლარით, რაც გეგმის (გეგმა 200,0 ათასი ლარი) 95,9%-ია. პროგრამის ფარგლებში წლის განმავლობაში ჩატარდა 82 ტურნირი.

**ააიპ „ქუთაისის ტაეკვონდოს სპორტული კლუბის“** ხარჯმა შეადგინა 22,5 ათასი ლარი, გეგმა (30,0 ათ. ლარი) შესრულდა 75%-ით. საერთაშორისო ტურნირებზე, რომელიც გაიმართა

ბელარუსსა და უკრაინაში, კლუბის წევრებმა მოიპოვეს 2 ოქრო და 3 ვერცხლის მედალი. საქართველოს ნაკრების წევრია 4 სპერტსმენი.

**შპს „საფეხბურთო კლუბი ტორპედო ქუთაისი“** დაფინანსდა 100%-ით (გეგმა და საკასო ხარჯი 1382,9 ათასი ლარი).

ააიპ **„ქალაქ ქუთაისის ხელბურთის კლუბი ქუთაისი 2015-ის“** ხარჯმა შეადგინა 109,5 ათასი ლარი, გეგმა (117,0 ათასი ლარი) შესრულდა 93,6%-ით. კლუბმა 2015-2016 წლების ეროვნულ ჩემპიონატზე დაიკავა მე-4 ადგილი. 2016-2017 წლების მიმდინარე ჩემპიონატის სამი ტურის შედეგით იყოფს 1 ადგილს ბათუმის გუნდთან ერთად.

**სპორტული ტრენაჟორების მოწყობა** დაფინანსდა 158,5 ათასი ლარით, რაც გეგმის (გეგმა 167,1 ათასი ლარი) 94,9%-ია. პროგრამის ფარგლებში მოეწყო 7ახალი სპორტული ტრენაჟორი.

**სპორტული მოედნებისა და სასრიალო ფიცრის ე.წ. „სკეიტბორდის“ მოედნის მოწყობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია** 2016 წლის ბიუჯეტში დაზუსტებული გეგმით გამოიყო 686,5 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 612,0 ათასი ლარი. (89,1%). სპორტული მოედნების რეაბილიტაცია განხორციელდა 39 ობიექტზე.

ააიპ **„ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდი“** დაფინანსდა 627,1 ათასი ლარით (100%).

ააიპ **„ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანებას“** დაზუსტებული გეგმით გამოიყო 3267,0 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 3267,0 ათასი ლარი. (100%). გაერთიანების ფილიალების აღსაზრდელებმა მაღალი შედეგები აჩვენეს ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო კონკურს-ფესტივალებზე. მოსწავლეების მიერ მხოლოდ 2016 წელს სხვადასხვა კონკურს-ფესტივალებში მოპოვებულ იქნა: 11- ოქროს მედალი, 3-ვერცხლის მედალი, 4-გრან-პრი, 48-პირველი პრემია, 32- მეორე პრემია, 50-ლაურეატის წოდება. საერთო ჯამში, გაერთიანების ფილიალების 100 - ზე მეტმა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა შემდეგ კონკურს-ფესტივალებში, კერძოდ:

**კულტურის ღონისძიებების პროგრამის** ფარგლებში გეგმით გათვალისწინებული 1071,4 ათასი ლარიდან დაიხარჯა 884,8 ათასი ლარი (82,6%). ქვეპროგრამის ფარგლებში ჩატარდა 43 კონცერტი, 17 გამოფენა, 8 სპექტაკლი. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის დაფინანსებით გადაღებულ იქნა 3 დოკუმენტური ფილმი. დაფინანსდა 5 ჟურნალისა და 2 ალბომის გამოცემა წლის განმავლობაში. აღინიშნა 7 მამტაბური ღონისძიება სხვადასხვა აქტივობებით (ორმისობა, გიორგობა, საახალწლო ღონისძიებები და სხვა). გაიმართა 6 საიუბილეო საღამო. 5 კონკურსი. გამოიცა 7 წიგნი, ჩატარდა 4 ფესტივალი. საქართველოს დამსახურებული არტისტის სტიპენდია გადაეცა 7 ადამიანს (ყოველთვიურად წლის განმავლობაში), გაიცა 7 იუბილარი მხატვრისა და 8 იუბილარი მსახიობის ჯილდო (წელიწადში ერთხელ). დაფინანსდა ქუთაისის სიმფონიური ორკესტრი. მხარდაჭერა გაეწია: დარბაზის იჯარით- 60 ღონისძიებას; კვებითი მომსახურებით 19 ღონისძიებას; განმეორების აპარატურით - 68 ღონისძიებას; ტრანსპორტით - 74 ღონისძიებას; პოლიგრაფიული ნაწარმით - 21 ღონისძიებას.



**სსიპ. ნ. ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი** დაფინანსდა 54,4 ათასი ლარით, რაც გეგმის (გეგმა 80,0 ათასი ლარი) 68%-ია.

**სამეფო კომპლექსი „ოქროს ჩარდახი“** დაფინანსდა 100%-ით (გეგმა 36,0 ათასი ლარი და საკასო ხარჯი 36,0 ათასი ლარი).

**ააიპ „ქუთაისის ფოლკლორის ცენტრი - სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი“** დაფინანსდა 99,7%-ით (გეგმა 813,4 ათასი ლარი და საკასო ხარჯი - 810,6 ათასი ლარი). ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო 19 ადგილობრივ და საერთაშორისო ღონისძიებაში.

**ლადო მესხიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის ხარჯმა** შეადგინა 1055,0 ათასი ლარი, რაც გეგმის (1055,0 ათასი ლარი) 100%-ია.

**მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრი** დაფინანსდა 100%-ით (გეგმა 950,0 ათასი ლარი და საკასო ხარჯი -950,0 ათასი ლარი).

**იაკობ გოგებაშვილის სახელობის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრი** დაფინანსდა 100%-ით (გეგმა და საკასო ხარჯი -265,0 ათასი ლარი).


**საინფორმაციო უზრუნველყოფის პროგრამა** დაფინანსდა 98,7%-ით (გეგმა - 190,0 ათასი ლარი; ხარჯი 187,5 ათასი ლარი).

**ახალგაზრდული ორგანიზაციების ღონისძიებები** დაფინანსდა 71,5%-ით (გეგმა - 169,5 ათასი ლარი; ხარჯი 121,2 ათასი ლარი) ახალგაზრდული ბანაკები. სულ დაფინანსდა ორი ბანაკი: მთის კურორტზე დაბა ბაკურიანში 130 ახალგაზრდისათვის; ზღვის სანაპირო ბანაკი 70 წარმატებული ახალგაზრდისათვის, რომლებმაც 2016 წლის მანძილზე მონაწილეობა მიიღეს ქუთაისის მერიის მიერ განხორციელებულ სხვადასხვა პროექტებში. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის მიზნით, განხორციელდა პროექტი ყრუ და სმენადაქვეითებულ პირებთან მომუშავე სპეციალისტთა გადამზადებისათვის. 20 ადამიანს, რომლებსაც, პროფესიიდან გამომდინარე, ხშირად უწევთ სმენადაქვეითებულ ადამიანებთან ურთიერთობა, ჩაუტარდათ ქესტური ენის შემსწავლელი კურსი; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციებს საჩუქრად გადაეცათ არტ-თერაპიისთვის საჭირო ნივთები. საერთაშორისო, ეროვნული თუ საქალაქო დღესასწაულების აღნიშვნის მიზნით, ქუთაისელი ახალგაზრდების მიერ მოხდა სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება. მათ შორის, დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღის აღნიშვნა; დედის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, რომელიც განხორციელდა ქუთაისის მერიის სოციალური სამსახურის მხარდაჭერით. მრავალშვილიანი დედებისათვის მოეწყო თეატრალური წარმოდგენა, გადაეცათ საჩუქრები. ასევე, ქალაქის მასშტაბით ახალგაზრდებმა დაარიგეს საჩუქრად ყვავილები და მიულოცეს ქალბატონებს დედის დღე; გვირილობის დღესასწაულთან დაკავშირებით, განსაკუთრებით გამოიკვეთა ქუთაისელი ახალგაზრდების ჩართულობა და მონაწილეობა. ახალგაზრდული მედია-პროექტების მხარდასაჭერად განხორციელდა პროექტი „ახალგაზრდული რადიო“. 10 ქუთაისელი ახალგაზრდა 3 თვის განმავლობაში ამზადებდა რადიო-გადაცემებს ახალგაზრდულ თემატიკაზე. მოხდა მათი პროფესიული გადამზადება. ასევე, ქუთაისელი ნიჭიერი ახალგაზრდების გამოსავლენად და მათი საქმიანობის ხელშესაწყობად განხორციელდა სხვადასხვა პროექტი. მათ შორის, მხიარულთა და საზრიანთა კლუბების სასკოლო ჩემპიონატი, რომელიც მთელი წლის განმავლობაში ტარდება და

აერთიანებს ასობით ახალგაზრდას; ახალგაზრდა ქუთაისელი მხატვრების გამოფენა; წლის განმავლობაში ახალგაზრდული ღონისძიებების პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულ იქნა საერთაშორისო კონკურსებსა და ფესტივალებში ქუთაისელი ახალგაზრდების მონაწილეობა, სადაც ახალგაზრდებმა დაიკავეს სხვადასხვა საპრიზო ადგილები; ჩატარდა კინოსკოლის კურსები ქუთაისელი ახალგაზრდებისათვის. 25 ქუთაისელ ახალგაზრდას მიეცა შესაძლებლობა ორი კვირის განმავლობაში გაეველო თეორიული კურსი ფილმის გადაღების ტექნიკის, კინოს ისტორიის, საოპერატორო თუ მონტაჟის ხელოვნების შესახებ. კურსის დასრულების შემდეგ ახალგაზრდებმა საკუთარი სცენარითა და რეჟისურით გადაიღეს ორი მოკლემეტრაჟიანი ფილმი, ერთი მხატვრული - "პორტრეტები", ხოლო მეორე - დოკუმენტური - „ჩვენი ბაღი“; პროექტის „ურბანული ხელოვნება“, რომელიც ითვალისწინებს გარეუბანში მცხოვრები ახალგაზრდების შემოქმედების პოპულარიზაციას, ღონისძიების ფარგლებში მოეწყო გამოფენები, ახალგაზრდების მიერ გადაღებული მოკლემეტრაჟიანი ფილმის ჩვენება, პოეზიის საღამო და კონცერტი. ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერის მიზნით, გამოცხადდა ინიციატივების კონკურსი, რომელშიც გამარჯვებულად გამოცხადდა 5 პროექტი.

**ქუთაის-გაენათის ეპარქია დაფინანსდა 96,4%-ით** (გეგმა - 75,0 ათასი ლარი; ხარჯი 72,3 ათასი ლარი).

**ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალურ მომსახურებაზე** გაწეული ხარჯების საკასო შესრულებამ 4118,2 ლარი შეადგინა, გეგმა (4765,0 ათასი ლარი) შესრულდა 86,4%-ით.



ააიპ „ქალაქ ქუთაისში საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრისათვის“ წლის განმავლობაში დახარჯულმა თანხამ შეადგინა 144,8 ათასი ლარი, რაც გეგმის (150,0 ათასი ლარი) 96,5%-ია. ცენტრის მიერ 2016 წელს განხორციელდა შემდეგი ძირითადი საქმიანობა: გადამდებ დაავადებათა ეპიდზედაცხედველობა და კონტროლი. პირველადი ეპიდკვლევის განხორციელება. ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების დაგეგმვა.

მუნიციპალიტეტის ჯანდაცვის დაწესებულებებში დაავადებათა რეგისტრაციის, შეტყობინებისა და ანგარიშების მონიტორინგი. მონიტორინგის შედეგების შეფასება და მეთოდური დახმარება. ინფექციის კერებში ლაბორატორიული სინჯების აღება და ტრანსპორტირება რეგიონულ ცენტრში. იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა და მასზე ანგარიშგება დადგენილი წესის მიხედვით. ვაქცინათა, სხვა ასაცრელი მასალისა და ცივი ჯაჭვის ინვენტარის საჭიროების განსაზღვრა სტაციონარებისათვის. ვაქცინათა და სხვა ასაცრელი მასალების ლოჯისტიკაზე ზედამხედველობა. ანტირაბიულ საქმიანობაზე ზედამხედველობა და კონტროლი. ანტირაბიული მასალის მიღება და განაწილება შესაბამის სამედიცინო დაწესებულებებში. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამდები ფაუნის შესწავლა და დადგენა. პრევენციული და კონტროლის ღონისძიებების გატარება, პარაზიტული და ჰელმინტური დაავადებების კვლევა. მალარიის დიაგნოსტიკა, პროფილაქტიკური მკურნალობა. სხვა პარაზიტული დაავადებების დიაგნოსტიკა და რეკომენდაციების მიწოდება. 5-დან 10 წლამდე ასაკის ბავშვთა გამოკვლევა პარაზიტულ ჭიებზე და მათი უზრუნველყოფა შესაბამისი მედიკამენტით. სამედიცინო სტატისტიკის წარმოება და ანგარიშგება. საგანმანათლებლო, სააღმზრდელო, საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა და პრევენციულ ღონისძიებათა განხორციელების ხელშეწყობა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, ანგარიშების მომზადება - წარდგენა. ცხოვრების ჯანსაღი წესისა და უნარ-ჩვევების დამკვიდრების, მავნე ჩვევათა კორექციისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობის მიზნით საინფორმაციო საშუალებებითა და სპეციფიკური ღონისძიებებით საკომუნიკაციო კამპანიების ორგანიზება და წარმართვა. ყოველთვიური ანგარიშგების წარმოება და წარდგენა დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნულ ცენტრში.

**მედიკამენტებით უზრუნველყოფის** პროგრამაზე გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 207,8 ათასი ლარი, გეგმა განისაზღვრა 220,0 ათასი ლარით (94,5%); მედიკამენტებით დახმარება გაეწია 2141 ბენეფიციარს.

**სამედიცინო დახმარებისათვის** დაიხარჯა 498,4 ათასი ლარი, გეგმის (565,0 ათასი ლარი) 88,2%. პროგრამის ფარგლებში დახმარებით ისარგებლა 1997-მა ბენეფიციარმა.

**ეპილეფსიით დაავადებულთა ანტიკონვულსანტებით უზრუნველყოფის** პროგრამის ხარჯი შეადგენს 39,3 ათას ლარს, გეგმა (50,0 ათასი ლარი) დაფინანსდა 78,6%-ით. საანგარიშო პერიოდში, პროგრამის ფარგლებში ანტიკონვულსანტებით დახმარება გაეწია 178 ბენეფიციარს.

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა დაწყებითი კლასების მოსწავლეთა პროფილაქტიკური გამოკვლევა** დაფინანსდა 22,5 ათასი ლარით, გეგმა განისაზღვრა 23,0 ათასი ლარით (97,8%). პროგრამის ფარგლებში, გამოკვლევა ჩაუტარდა ზოგადსაგანმანათლებლო

დაწესებულებების 1-ლი, მე-3, მე-4 მე-5 და მე-7 კლასის მოსწავლეებს, მათ ასაკში ყველაზე გავრცელებული დაავადებების: თიაქარის, სქოლიოზის, კრიპტორხიზმის, ფარისებრი ჯირკვლის და რეფლექციასთან დაკავშირებული პრობლემების ადრეულ ეტაპზე გამოვლენის მიზნით. პროფილაქტიკურ გამოკვლევებში მონაწილეობა მიიღო 14 348 მოსწავლემ.

**მარტოხელა მოხუცთა თავშესაფრის კომუნალური ხარჯების დაფინანსებამ** შეადგინა 13,2 ათასი ლარი, გეგმა (20,0 ათასი ლარი) შესრულდა 66%-ით. პროგრამიდან ანაზღაურდა სოციალური საცხოვრისის მოზინადრეების მიერ დახარჯული ელექტროენერჯის და ბუნებრივი აირის თანხები. დახმარებით ისარგებლა 14 ოჯახის -34-მა წევრმა.

**სარიტუალო დახმარების პროგრამის** ბიუჯეტი გეგმით შეადგენდა 70,0 ათას ლარს, საიდანაც დაიხარჯა 32,7 ათასი ლარი (46,7%). საანგარიშო პერიოდში, პროგრამის ბიუჯეტიდან ანაზღაურდა ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული გარდაცვლილი დევნილის, ვეტერანის სარიტუალო ხარჯი 300 ლარის ოდენობით და დაფინანსდა ფორსმაჟორულ სიტუაციაში სარიტუალო მომსახურება. სულ 106 სარიტუალო ხარჯის გამწვევისათვის ანაზღაურდა თანხა, ხოლო 13 შემთხვევაზე დაფინანსდა სარიტუალო მომსახურება.

**მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებისათვის** წლის განმავლობაში დაიხარჯა 801,0 ათასი ლარი, გეგმის (801,0 ათასი ლარი) 100%. პროგრამის ფარგლებში დახმარებით ისარგებლა 523 ბენეფიციარმა.

**სოციალური ღონისძიებების პროგრამის** საკასო შესრულებამ საანგარიშო პერიოდში შეადგინა 303,7 ათასი ლარი, გეგმა (410,0 ათასი ლარი) შესრულდა 74,1%-ით. დახმარებით ისარგებლეს: 1 იანვარს დაბადებული 5 ახალშობილის მშობელმა, 15 თებერვალს ავღანეთის ომის ვეტერანებს (33 ბენეფიციარი) გაეწიათ ერთჯერადი მატერიალური დახმარება. 3 მარტს, დედის დღესთან დაკავშირებით მატერიალური დახმარება გაეწიათ მრავალშვილიან ოჯახებს (33 ბენეფიციარი). აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით სხვადასხვა კატეგორიის სოციალურად დაუცველ ბენეფიციარებს (3033 პირი) გაეწიათ დახმარება სურსათის სახით. 26 აპრილს ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ლიკვიდაციის მონაწილე და გარდაცვლილთა ოჯახებს (130 პირი) გაეწიათ მატერიალური დახმარება. 9 მაისს, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებს (38 ბენეფიციარი) გაეწიათ მატერიალური დახმარება. 22 ივლისს, რეპრესირებულთა ოჯახის წევრებისათვის (40 ბენეფიციარი) მოეწყო საზეიმო შეხვედრა და სადილი. 1 ივნისს, ზავშვთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ბენეფიციარებმა უფასოდ ისარგებლეს გასართობი ატრაქციონებით. 100 წლის ხანდაზმულ 2 ბენეფიციარს, დაბადების დღეზე გადაეცათ საჩუქარი, თითოეულს 1000 ლარის ოდენობით. შავი ზღვის სანაპიროზე, სამკურნალო -სარეაბილიტაციო მომსახურება გაეწია 400 ბენეფიციარს. 1 ოქტომბერს ხანდაზმულთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით 100 ბენეფიციარისათვის მოეწყო „ალაფურშეტი“. 3 დეკემბერს, შეზღუდული

შესაძლებლობების მქონე პირთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით 12 ორგანიზაციას გადაეცა ფასიანი საჩუქრები. ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით სხვადასხვა კატეგორიის სოციალურად დაუცველ ბენეფიციარებს (3084 პირი) გაეწიათ დახმარება სურსათის სახით. ახალი წლის დამეს, 24 საათიან რეჟიმში მომუშავე ორგანიზაციების მორიგე პერსონალს გადაეცა საახალწლო საჩუქრები. სულ პროგრამის ფარგლებში დახმარებით ისარგებლა 6898-მა პირმა.

**ქალაქ ქუთაისში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახების ყოფითი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობისათვის განსაზღვრული წლიური გეგმა 400,0 ათასი ლარი დაფინანსდა 236,2 ათასი ლარით (59,1%).** საანგარიშო პერიოდში, ადგილობრივი ბიუჯეტიდან, თანადაფინანსების პრინციპით ანაზღაურდა სოციალურად დაუცველი ბენეფიციარების მიერ მოხმარებული ელექტროენერგია და სრულად დაფინანსდა საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის ღირებულება. სულ ისარგებლა 12 095-მა ბენეფიციარმა.

**განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა თანადგომის პროგრამა** - პროგრამის ბიუჯეტი დაზუსტებული გეგმით შეადგენდა 150,0 ათას ლარს, დახარჯულმა თანხამ შეადგინა 141,7 ათასი ლარი (94,5%). დახმარებით ისარგებლა: ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებულმა/მცხოვრებმა სახელმწიფო მზრუნველობიდან გამოსულმა 18 წლის 4-მა ბენეფიციარმა; სახელმწიფო მზრუნველობიდან ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრირებულმა 17-მა ბავშვმა; ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებულმა 115-მა ჰემოდიალიზზე მყოფმა პირმა. სულ ისარგებლა 136-მა ბენეფიციარმა.

**შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სოციალური ინტეგრაციის პროგრამის ხარჯმა** შეადგინა 17,9 ათასი ლარი, გეგმა (25,0 ათასი ლარი) შესრულდა 71,6%-ით. პროგრამით ისარგებლა 50 ბენეფიციარმა.

**უფასო მგზავრობის პროგრამის** ფარგლებში წლის განმავლობაში დახარჯულმა თანხამ შეადგინა 164,3 ათასი ლარი, გეგმის (167,0 ათასი ლარი) 98,4%. საანგარიშო პერიოდში, პროგრამის ფარგლებში მომსახურებით ისარგებლა 1071-მა ბენეფიციარმა.

**ააიპ ქალაქ ქუთაისის მადლიერების სახლი** საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დაფინანსდა 619 ათასი ლარით, გეგმა (670,0 ათასი ლარი) შესრულდა 92,4%-ით. მადლიერების სახლში ფუნქციონირებს უფასო სასადილო, სადაც იკვებება 800 ბენეფიციარი.

**საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში გარდაცვლილ მეომართა ოჯახების კომუნალური გადასახადების თანადაფინანსების პროგრამა** დაფინანსდა 48,5%-ით (გეგმა 20,0 ათასი ლარი და საკასო ხარჯი 9,7 ათასი ლარი). პროგრამის ფარგლებში დახმარებით ისარგებლა 24-მა ოჯახმა.

**კოხლყარული იმპლანტით მოსარგებლე ბენეფიციართა დახმარება** დაფინანსდა 5,5 ათასი ლარით (36,7%). პროგრამის ფარგლებში დახმარებით ისარგებლა 8 ბენეფიციარმა.

ქალაქ ქუთაისში გუმათის ტერიტორიული ერთეულის სოციალურად დაუცველი ოჯახების ბუნებრივი აირის გამრიცხველიანების ხელშეწყობის პროგრამა დაფინანსდა 7,5%-ით (გეგმა 12 ათასი ლარი და საკასო ხარჯი 0,9 ათასი ლარი). პროგრამის ფარგლებში დახმარებით ისარგებლა 8 ბენეფიციარმა.

ლეიკოზითა და სოლიდური სიმსივნის ფორმით დაავადებულ პირთა თანადგომის პროგრამა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დაფინანსდა 17,1 ათასი ლარით, გეგმა (22,0 ათასი ლარი) შესრულდა 77,7%-ით. პროგრამის ფარგლებში დახმარებით ისარგებლა 16-მა ბენეფიციარმა.

„შინმოვლის“ მომსახურების პროგრამა დაფინანსდა 12,5 ათასი ლარით (62,5%). პროგრამის ფარგლებში დახმარებით ისარგებლა 65-მა ბენეფიციარმა.

სოციალური საცხოვრისის მშენებლობა დაფინანსდა 830,0 ათასი ლარით, გეგმა (955,0 ათასი ლარი) შესრულდა 86,9%-ით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

შოთა მურღულია